პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 25 (11029) | ხუთშაბათი, 30 იანვარი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო და აირჩია საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

ყრილობამ ჩაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო საქართველოს კომუნისტების მჭიდროდ დარაზმულობის ნიშნით.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა პირველი პლენუმი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ აირჩია.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **პ. ვ. კოვანოვი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები **გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ამხანაგების **კ. ნ. გალიცკის, ი. ს. დოლიძის, ფ. დ. დუმბაძის, ა. ნ. ინაურის, პ. ვ. კოვანოვის, მ. ი. კუჭავას, მ. მ. ლელაშვილის, ვ. პ. მჟავანაძის, გ. ი. ქადაგიძის, მ. დ. ჩუბინიძის, გ. დ. ჯავახიშვილის** შემადგენლობით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, გ. ი. ჩოგოვაძე.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **დ. ვ. გელაშვილი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

აბაშიძე ი. ბ.	თავაძე ე. ზ.	მელაძე გ. ნ.	ჩოგოვაძე გ. ი.
ავაზაშვილი ა. ა.	თავამაიშვილი გ. დ.	მჟავანაძე ვ. პ.	ჩოფიკაშვილი ვ. ა.
ალავიძე გ. ა.	თავზარაშვილი ზ. ი.	მუსხელიშვილი ნ. ი.	ჩუბინიძე მ. დ.
ასათაშვილი ა. უ.	თიბილოვი ს. გ.	ნემსაძე ო. მ.	ჩხარტიშვილი ს. კ.
ბარიგიანი კ. ი.	თოფურიძე მ. ე.	პაპავინი ნ. ფ.	ჩხეიძე ბ. ა.
ბაქრაძე პ. ნ.	თხილაიშვილი ა. დ.	რატიანი პ. კ.	ჩხიკვიშვილი დ. ი.
ბიძინაშვილი ზ. მ.	ივაშჩენკო დ. ა.	რთველიაშვილი ი. გ.	ჩხიკვიშვილი ი. ი.
ბლრციანი ა. ა.	ინაური ა. ნ.	როსტიაშვილი ს. ს.	ჩხობაძე პ. ი.
ბოგვერაძე გ. ა.	კაპანაძე კ. ს.	რუდევსკი ი. ლ.	ჩხუბიანიშვილი ზ. ნ.
ბღაუბა მ. თ.	კვაჭაძე ზ. ა.	სანაკოევი გ. გ.	ციმაკურიძე კ. ს.
გალიცკი კ. ნ.	კეცხოველი ზ. ნ.	სეხნიაშვილი გ. ს.	ცომაია შ. გ.
გეგეშიძე გ. ა.	კოკნაძე შ. დ.	ტაკიძე ე. პ.	ჭანუყვაძე შ. ი.
გელდიაშვილი ზ. ბ.	კობაიძე ა. ა.	ტიმოფეევა ა. ვ.	ჭახრაკია ნ. ე.
გიგოშვილი ა. ა.	კოვანოვი პ. ვ.	უკლება ლ. მ.	ჭირაქაძე ა. ვ.
გილაშვილი პ. გ.	კუპრაძე ვ. დ.	ქადაგიძე გ. ი.	ჭიჭინაძე დ. ა.
გიორგაძე ნ. ა.	კუჭავა მ. ი.	ქვარცხავა ა. კ.	ხვედელიანი ი. რ.
გოგიჩაიშვილი მ. ა.	ლაბახუა ა. მ.	ღვინჯილია მ. ბ.	ხიდაშელი შ. ვ.
გოგლიძე კ. ნ.	ლაშქარაშვილი თ. ვ.	ყულიევი მ. უ.	ჯაბუა გ. ა.
გომელაური ნ. გ.	ლელაშვილი მ. მ.	ყუფუნია თ. ა.	ჯავახიძე ნ. ს.
გოცირიძე ო. დ.	ლომაძე კ. მ.	შარაშიძე გ. ი.	ჯავახიშვილი გ. დ.
გუჯეჯიანი ბ. ი.	ლორთქიფანიძე ს. ს.	შარაძენიძე ს. ა.	ჯანჯღავა ვ. ნ.
დავითაშვილი ა. მ.	მამაცაშვილი დ. გ.	შარტავა შ. ე.	ჯანელიძე თ. ბ.
დოლიძე ი. ს.	მამულაძე დ. მ.	შევარდნაძე ე. ა.	ჯაფარიძე ე. მ.
დუმბაძე ფ. დ.	მეგრელიშვილი მ. ა.	შეყლაშვილი შ. ს.	ჯიბლაძე გ. ნ.
ესაიაშვილი ვ. გ.	მელაძე ა. ე.	ჩიქოვანი მ. გ.	ჯიბლაძე ნ. მ.
ზამბახიძე გ. ნ.			

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

აივაზაშვილი ო. ნ.	ეცადაშვილი ი. მ.	მიქელაძე გ. შ.	ფირცხალავა გ. ს.
ბერძენი ი. ვ.	ვიშნიაკოვი ი. დ.	მჭედლიშვილი დ. ვ.	ქონიაძე ა. მ.
ბუდუმიანი ა. გ.	თაქთაქიშვილი ო. ვ.	ნადაშვილი გ. ლ.	ქუტიძე შ. პ.
გაზაევი ვ. ი.	კახიძე შ. ს.	ორჯონიკიძე ი. ს.	შვირკოვი მ. თ.
გარდაფხაძე კ. კ.	კელენჯერიძე ა. კ.	პაატაშვილი ვ. ა.	შინკუბა ბ. ვ.
გოგიტიძე ა. ი.	კეჩხუაშვილი გ. ი.	პოლოსიანი ზ. ნ.	შუბითიძე შ. ტ.
გომარელი ვ. ა.	კვარაცხელია ვ. ს.	საბაშვილი მ. ნ.	ჩაჩხიანი გ. გ.
გოშაძე გ. ნ.	კომახიძე რ. მ.	სირაძე ვ. მ.	ჭანკოტაძე შ. ლ.
გრძელიშვილი შ. ო.	ლაღიძე ი. ნ.	ტოლიაშვილი ი. ა.	ჭკადუა ს. ფ.
გუნია პ. ტ.	ლომაშვილი ჯ. ნ.	ტულჩინი ს. ნ.	ჭუმბურიძე ი. დ.
გურგენიძე კ. ლ.	მაკაროვი ა. კ.	უზნაძე ი. ზ.	ხუბულავა კ. ჯ.
დავითაშვილი თ. ნ.	მამამთავრიშვილი დ. გ.	უზუნაშვილი ზ. ს.	ხუბულიანი ი. თ.
დოლიძე შ. ა.	მამედოვი ჯ. ბ.	ურუშაძე ვ. ტ.	ჯაფარიძე უ. (ი) მ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

აბესაძე პ. ს.	ვასაძე შ. ლ.	ნანეიშვილი ვ. ვ.	ქვლივიძე დ. ა.
ალექსიშვილი ტ. ი.	თვალჭრელიძე გ. გ.	უელეზნიკოვი ნ. ი.	ქერქაძე ვ. გ.
ბიბილაშვილი მ. ა.	კავაძე ვ. ვ.	რევაზიშვილი ვ. გ.	ქრისტესაშვილი გ. ა.
ბოკერია მ. ნ.	ლეჟავა ს. ა.	საბაშვილი დ. ხ.	ცანავა მ. ვ.
ბურდული ვ. ა.	ლომიძე მ. უ.	სამხარაძე მ. მ.	ძოწენიძე გ. ს.
გაგოშიძე გ. ვ.	ლორთქიფანიძე ბ. ვ.	სახეჩიძე პ. პ.	წურწუმია ა. ს.
გელაშვილი დ. ვ.	მაისურაძე მ. გ.	ტუფურია ხ. ი.	ხაბულიანი ი. თ.
გობრონიძე ა. გ.	მანწკავა დ. ე.	ურუშაძე ი. ბ.	ხვარწკია დ. ა.
გონჯილაშვილი დ. ს.	მაცაბერიძე გ. ე.	ფანცულაია ნ. ი.	ხეთაგური ი. პ.
დევდარიანი გ. მ.	მელქაძე ვ. ი.		

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის პასუხი გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტის კითხვაზე

გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტმა მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ა. ბულგანინს კითხვით:

როგორ აფასებთ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კონტაქტების განვითარების შესახებ ვაშინგტონში ახლახან დამთავრებული მოლაპარაკების შედეგებს?

ამხ. ნ. ა. ბულგანინმა შემდეგი პასუხი გასცა:

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში შეთანხმების ხელმოწერას, უეჭველია, დადებითი მნიშვნელობა აქვს. შეთანხმებაში გათვალისწინებულია დელეგაციების გაცვლა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების დარგში, აგრეთვე მთელი რიგი ნაბიჯები კულტურული გაცვლის საქმეში. უეჭველია, რომ შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება დაეხმარება საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის ზრდას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ორივე ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიმართულებით.

ვანიჭებთ რა დიდ მნიშვნელობას კულტურული გაცვლის დარგში შეთანხმებას, ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია და რომელთა გადაჭრაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საჭირო ურთიერთგაგება სახელმწიფოთა შორის. ამასთან დაკავშირებით მსურს ხაზგასმით აღვნიშნო ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ჩვენ ვანიჭებთ ორივე ქვეყნის შეთანხმებულ მოქმედებას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

დაიხურა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის 29 იანვრის დილის სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. **ი. ს. დოლიძის** თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

დილის, მეოთხე სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **შ. ი. ჭანუყვაძემ** — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა, **ს. ს. ლორთქიფანიძემ** — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა, **ნ. მ. ჯიბლაძემ** — საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა, **პ. ვ. კოვანოვმა** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა, **გ. ი. ჩოგოვაძემ** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ, **კ. ჯ. ხუბულავამ** — საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა, **მ. ა. მეგრელიშვილმა** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ, **ა. ა. ბლრციანმა** — საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა, **ვ. ი. სეროვმა** — საქართველოს ოლქის სასაზღვრო ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსმა, **ბ. ს. ბუკიამ** — ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, **შ. გ. მწითურმა** — დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ.

დამსწრეთა ერთსულოვანი ტაშის გრიალში აქვეყნებენ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისადმი მოლდავეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობის მისალმების ტექსტს.

დელეგატები ხანგრძლივი ტაშით იღებენ მოლდავეთის კომპარტიის VII ყრილობისადმი მისალმების ტექსტს.

კამათი წყდება. საბოლოო სიტყვას ამბობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად.

ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის მოხსენება.

დელეგატები იწყებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის არჩევნებს.

* * *

29 იანვარს საღამოს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მეხუთე სხდომა. თავმჯდომარეობს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

ყრილობა იღებს რეზოლუციას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

სხდომაზე მოსმენილ იქნა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ვ. ა. პეტრიაშვილის** ცნობა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ. იგი აცხადებს, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში.

დელეგატები მხურვალე ტაშით ხვდებიან საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისადმი ესტონეთის კომპარტიის X ყრილობის მისალმების ტექსტს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა ერთსულოვანი ტაშით იღებს ესტონეთის კომპარტიის X ყრილობისადმი მისალმების ტექსტს.

სხდომის თავმჯდომარე ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია, და ყრილობას დახურულად აცხადებს.

ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. დარბაზში ჭუხს ოვაცია საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, მისი ნაცადი კოლექტიური ხელმძღვანელის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად. (საქდესი).

თბილისი.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო! აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა აზერბაიჯანის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით მხურვალე ძმურ სალამს გიძღვნით თქვენ, საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს, და თქვენი სახით საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა კომუნისტსა და მშრომელებს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმი, მუდამ იყო და არის ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი ერთგულების მაგალითი. ქართველმა ბოლშევიკებმა ამიერკავკასიაში პირველებმა აღმართეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა. დიდი მარქსისტ-ლენინელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ლადო კეცხოველი, ალიოშა ჯაფარიძე, სერგო ორჯონიკიძე აზერბაიჯანის ბოლშევიკებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას, აზერბაიჯანელი კომუნისტების მხარდამხარ, როგორც ღვიძლი ძმები, იბრძოდნენ მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის.

საქართველოს კომპარტია დაუცხრომლად ზრდის საქართველოს მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების სულისკვეთებით, ხალხთა ურღვევი მეგობრობისა. და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით საბჭოთა საქართველო გახდა მოწინავე სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც აქვს მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, მოწინავე სოფლის მეურნეობა და მაღალი კულტურა. ჩვენ სულითა და გულით გვახარებს ქართველი ხალხის შესანიშნავი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, რომლებიც მომმე საქართველომ მოიპოვა თავისი ავანგარდის, ბრძოლებში გამოწრთობილი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ვუსურვებთ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ახალ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უსწრაფესად შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

დიდება ჩვენს მძლავრ სამშობლოს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯს!

დაე სულ უფრო მტკიცდებოდეს და პყვაოდეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური მეგობრობა — სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ქ. ბაქო.

თბილისი.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს

კიშინიოვიდან.

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობის მონაწილენი გულითად სალამსა და საუკეთესო სურვილებს უძღვნიან საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს და მთელ მოძმე ქართველ ხალხს.

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელებმა სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

საქართველოს ხალხის წინაშე გადაშლილია უდიდესი პერსპექტივები და შესაძლებლობანი საქართველოს რესპუბლიკის — საბჭოთა კავშირის ხალხების დიად ოჯახში თანასწორთა შორის თანასწორის — ახალი აყვავებისათვის.

საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად. აქტიურ ბრძოლას ეწევიან ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

VII ყრილობის დელეგატები სულით და გულით უსურვებენ საქართველოს კომუნისტებს, მთელ ქართველ ხალხს ახალ წარმატებებს ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომ აღმავლობაში.

დაე მტკიცდებოდეს და ცოცხლობდეს საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურღვევი მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის წყარო.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიდ და ბრძეს კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

მოლდავეთის კომპარტიის VII ყრილობის პრეზიდიუმი.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

სომხეთის კომპარტიის XIX ყრილობა სომხეთის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს და მთელ მოძმე ქართველ ხალხს.

საქართველოს კომპარტიამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა უძველესმა და მებრძოლმა რაზმმა, ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო.

ამ ბრძოლას იგი ეწეოდა სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი ხალხების მხარდამხარ, რომლებმაც გამოიჩინეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშისადმი, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უკვდავი იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულება.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების, დიდი ლენინის მოწაფეებისა და თანამებრძოლების — იოსებ სტალინის, ლადო კეცხოველის, მიხა ცხაკაიას, ალექსანდრე წულუკიძის, ალიოშა ჯაფარიძის, სერგო ორჯონიკიძის და სხვათა სახელები განუყრელად დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიასთან.

ჩვენი ორი ხალხის მეგობრობის სათავე შორეულ ისტორიულ წარსულშია. ქართველი და სომეხი ხალხების სახელოვანი შვილები ერთად იბრძოდნენ გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ თავიანთი ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის.

სრული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ეროვნული განახლების შესაძლებლობა ჩვენმა ხალხებმა მოიპოვეს მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეოხებით.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, მოწინავე სოფლის მეურნეობა და სოციალისტური კულტურა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის ახალ დიდ ზრდას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტია თავის მორიგ, XVIII ყრილობას შეხვდა კიდევ უფრო ერთიანი და მონოლითური, უფრო მჭიდროდ, ვიდრე ოდესმე, შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ მიერ მოპოვებული ყველა წარმატება პარტიის გენერალური ხაზის განუხრელი განხორციელების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების ყოველდღიური დახმარების შედეგია.

ქართველი ხალხი საქართველოს კომპარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კვლავაც წარმატებით განახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ახალ ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში.

ვუსურვებთ საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას წარმატებებს მუშაობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხების დიდ და ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

სომხეთის კომპარტიის XIX ყრილობა.

ქალაქი თბილისი.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის პრეზიდიუმს

ესტონეთის კომპარტიის მეათე ყრილობა მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის დელეგატებს და მათი სახით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

სულითა და გულით გვახარებს წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

მთელი ესტონელი ხალხის სახელით ვუსურვებთ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს შემდგომ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების შესრულების საწინდარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობა და ერთიანობა.

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური ხალხების მეგობრობა და ძმობა!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს!

ესტონეთის კომპარტიის X ყრილობის პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის საარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. ა. გეგეშიძის სიტყვა

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! ვაჯამებთ რა ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მიღწეულ წარმატებებს, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საქართველოს კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიბრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ფრაქციული საქმიანობა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჟუკოვის მავნე, ანტიპარტიული მოქმედება.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა მშენებლობის, საქალაქო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ვადაზე ორი დღით ადრე — 13 დეკემბერს შეასრულეს ვალდებულებანი, რომლებიც მათ რიგელებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით იკისრეს.

1956-1957 წლებში ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 108,8 პროცენტით გაანაღდა და გეგმის ზევით 848 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა დედა-სამშობლოს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო შინაარსიანად, საქმის ღრმა ცოდნით, უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად ხელმძღვანელობენ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში არა აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა შესახებ დაწვრილებით იყო ლაპარაკი რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე.

დედაქალაქის რვა საწარმომ ვერ შეასრულა 1957 წლის სახელმწიფო დავალებანი და სამშობლოს დააკლო 16 მილიონ 395 ათასი მანეთის პროდუქცია. მთელ რიგ საწარმოებში სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვასა და გავრცელებას. სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთი სამმართველო ღრმად არ სწვდება წარმოების ეკონომიკას, მთლიანად არ არის გამოყენებული სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესაძლებლობანი, რომლებიც გამოვლინებულია მრეწველობის მართვის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით ეხება სხმულის, სამჭედლო-საწნეხე მოწყობილობის, ლითონის ნაწარმის, ინსტრუმენტებისა და სათადარიგო ნაწილების წარმოებას.

პარტიის საქალაქო კომიტეტის სუსტი დახმარების შედეგად სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო სათანადოდ გაეშალა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა აპარატის მუშაკთა შორის, ვერ შეძლო აემაღლებინა ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

განვლილი ორი წლის მანძილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტიის თბილისის კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწიეს ქალაქის მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

1956-1957 წლებში ქალაქის კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის 654 მილიონი მანეთი დაიხარჯა. ამ პერიოდში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 168.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გაცილებით მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში. მაგრამ მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. სამწუხაროა, რომ გასულ წელს ჩვენი მშენებლების უყაირათო მუშაობისა და ქალაქის პარტიული ორგანიზაციების არასაკმაო მომთხოვნელობის გამო თბილისის მშრომელებს 15.000 მეტრი საცხოვრებელი ფართობი დავაკელით. ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დავნერგეთ ქალაქ გორკის მშრომელთა შესანიშნავი გამოცდილება საკუთარი სახსრებით და საშუალებებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქალაქის კომუნალური და საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები, ცუდად მუშაობს ქალაქის ტრანსპორტიც.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია განხორციელდეს დიდი მოცულობის საქალაქო მშენებლობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბაქო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც წელს დაიწყება. გაზსადენის მშენებლობა დიდი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებაში. ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რასაც კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

რამდენიმე სიტყვა ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ. მართალია, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 120-ჯერ გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის მოხმარების მხრივ ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით მოძმე რესპუბლიკებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ დეფიციტს განიცდით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ზოგიერთ დღეებში ქალაქის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე 25-30 პროცენტით კმაყოფილდება. უდავოა, ეს უარყოფით გავლენას ახდენს ქალაქის მრეწველობის ნორმალურ მუშაობაზე. მართალია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ სერიოზული ღონისძიებანი დასახეს ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩება, თუ ქალაქის მიდამოებში არ აშენდა 300-400 მეგავატის სიმძლავრის სადაზისო თბოელექტროცენტრალი.

მეექვსე ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, რაც თბილისის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, მუშაობის მეთოდებისა და სტილის სრულყოფას. ამ მიმართულებით უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთგვარი წარმატებებია მიღწეული, მაგრამ ნაკლოვანებებიც ბევრია. მათ შორის ყველაზე მთავარია ის, რომ არასაკმარისი ყურადღება ექცევა ორგანიზატორულ მუშაობას ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებების განსახორციელებლად. რის შედეგადაც მთელი რიგი კარგი, საქმიანი გადაწყვეტილებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისისა და მთელი რესპუბლიკის მშრომელები იდღესასწაულებენ ჩვენი დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით დიდი ამოცანებია დასახული თბილისის პარტიული ორგანიზაციის წინაშე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის კეთილმოწყობის, საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის შემდგომი გაფართოების, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

თბილისის 1500 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადება უნდა გადაიქცეს დიდ პოლიტიკურ კამპანიად, რომელიც დარაზმავს თბილისისა და მთელი რესპუბლიკის მშრომელებს 1958 წელს დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მასების შრომითსა და პატრიოტულ აქტივობას იქითკენ წარმართავს, რომ ჩვენი დედაქალაქი უფრო კეთილმოწყობილ ქალაქად გადააქციოს.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მშრომელი პირობას აძლევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობას, რომ ისინი კვლავაც ძალების დაუზოგავად იბრძოლებენ პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად და, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულნი, მტკიცედ იცავენ წინ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

ამხ. ე. პ. ტაკიძის სიტყვა

საქართველოს კპ ჭუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის მე-18 ყრილობაზე ქ. ჭუთაისის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვანი წარმატებებით მოვიდა. ჩვენი ქალაქის მშრომელების თავდადებული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად დარგების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა გასული წლის გეგმა შეასრულეს 103,3 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა — 115,4 პროცენტით, ხოლო სარეწაო ოპერაციის არტელებმა — 116,3 პროცენტით. ქალაქის მრეწველობა ამჟამად სამშობლოს აძლევს ერთ მილიარდ 85 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების 500-ზე მეტი სახის პროდუქციას.

სახალხო მეურნეობის საბჭოს დახმარებით მთელი რიგი საწარმოები გაცილებით უკეთ მუშაობენ, ვიდრე წინათ. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნამ დიდად შეუწყო ხელი ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამართულ მუშაობას. ერთგვაროვად მოწესრიგდა ქარხნის ტექნიკური მომარაგება, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, მეტი ყურადღება ექცევა ტექნიკურ პროგრესს, ამის შედეგად ქარხანამ თავისი არსებობის მანძილზე პირველად გასულ წელს შეძლო სახელმწიფო გეგმების შესრულება.

მიუხედავად ამისა, საავტომობილო ქარხნის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყველა საამქროში არ არის დანერგილი მუშაობა გრაფიკის მიხედვით, ჩამორჩება ძრავებისა და სამსხმელო საამქროები, არ სრულდება ავტოსათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმა. რუხი თუჯის საამქროში კვლავ დიდია წუნი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქარხნის დირექციასთან და პარტიულ კომიტეტთან ერთად მიმდინარე წლის დასაწყისშივე დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებების უმოკლეს დროში გამოსასწორებლად.

ნაყოფიერად მუშაობს მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელმაც საერთო პროდუქციის გეგმა 103,2 პროცენტით შეასრულა. მაგრამ წარმატებებთან ერთად მასაც აქვს ნაკლოვანებანი, კერძოდ, ნომენკლატურის მიხედვით გეგმების შესრულებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, კვლავ სერიოზული დაბრკოლებებია კოოპერირებული წესით ნაწილების და მასალების მიღების საქმეში. აქ შეიძლება დავასახელოთ საავტომობილო და მანქანათმშენებელი ქარხნები, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმოები, რომლებიც შორეული რაიონებიდან ვერ მარაგდებიან მათთვის საჭირო ნედლეულით. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ეს საკითხი და რაც შეიძლება მალე გადაჭრას იგი.

ძველდეგ ამხ. ტაკიძე ჩერდება საბინაო მშენებლობის გაფართოების საკითხზე და აღნიშნავს, რომ გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 9 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

პარტიის ჭუთაისის საქალაქო კომიტეტი თავის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სოციალისტური საკუთრების დაცვის, საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეს, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობას. ამ ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ ხანს ქალაქში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულებრივი მოქმედების შემთხვევები.

ამხ. ტაკიძე ლაპარაკობს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის დაყენების, კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით შეიარაღებისა და პარტიული განათლების სისტემაში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. იგი აყენებს საკითხს ქუთაისში გამომცემლობის დაარსებისა და მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს შექმნის შესახებ.

ეხება რა ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ინსტიტუტების მუშაობას, ორატორს შემოაქვს წინადადება, რომ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი გადაკეთდეს საკავშირო სუბტროპიკულ ინსტიტუტად.

ამ რამდენიმე თვის წინ, — განაგრძობს ამხ. ტაკიძე, — ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მუშაობა, და ეს სავსებით მართებული იყო. იმის შემდეგ ჩვენთან ორჯერ ჩამოვიდა კულტურის სამინისტროდან და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ბრიგადა, რომელმაც შეისწავლა თეატრის მუშაობა. ჩვენ დახმარება აღგვიჩენეს, მაგრამ რეალური მხარდაჭერა კულტურის სამინისტროდან დღემდე არ მიგვიღია.

პარტიის საქალაქო კომიტეტი მომავალში მეტ ყურადღებას მიაქცევს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს და წარმართავს შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობას პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ამხ. მ. თ. ბლაჟბას სიტყვა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობას ხვდება საკავშირო კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, მტკიცე გადაწყვეტილებით გამსჭვალული, რომ მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს ახალ წარმატებათა მიღწევას კომუნისტურ მშენებლობაში.

მტკიცედ იბრძვიან რა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აფხაზეთის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა საანგარიშო პერიოდში მიაღწიეს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადაზე ადრე შეასრულა 1957 წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 55 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ შეასრულა თავისი დავალებანი შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების დარგში.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. აფხაზმა მეთამბაქოეებმა გასულ წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 1.732 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული.

შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის ჩაის, ხილის, ციტრუსების, ყურძნის, ეთერზეთოვანი კულტურების, აბრეშუმის პარკისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები, აგრეთვე გეგმა წველადობისა საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოპოვებულია კულტურულ მშენებლობაში.

ყველა ეს წარმატებანი აფხაზმა ხალხმა მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი ყურადღებისა და დახმარების შედეგად.

შემდეგ ამხ. ბლაჟბა ლაპარაკობს იმაზე, რომ აფხაზეთის კომუნისტები არ ივიწყებენ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ ამოცანებს, იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებაში, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. იგი ეხება შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხს.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობის მოცულობა. მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ ასრულებენ საცხოვრებელი ფართობებისა და სამრეწველო საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებს. ამასთან დაკავშირებით ორატორი აკრიტიკებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, რომელიც არასაკმაოდ ეხმარება აფხაზეთის სამშენებლო ორგანიზაციებს. რომლებიც მის გამგებლობაში არიან.

ბევრი გადაუწყვეტელი საკითხია სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკაში ცუდად იყენებენ მიწებს. აფხაზეთის თვითეულ კოლმეურნეობას განსაკუთრებული ხარჯების გაუწევლად, თავისი ძალებით შეუძლია ყოველწლიურად სამუშაოდ აითვისოს 5-10 ჰექტარი გამოუყენებელი მიწა. მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ სათანადოდ არ ვმუშაობთ. პარტიის საოლქო კომიტეტმა, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთად უნდა მიიღონ რეალური ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მიაღწიონ მიწის სავარგულების სწორ და რაციონალურ გამოყენებას.

ეხება რა ამოცანებს, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის წინაშე, ამხ. ბლაჟბა ამბობს, რომ 1958 წელს მოკრეფილ უნდა იქნას და სახელმწიფოს ჩაბარდეს 20 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი, უზრუნველყოფილ იქნას თამბაქოს წარმოების შემდგომი გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, ამაღლდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მას მოჰყავს მონაცემები სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვნად. სწრაფად განვითარებულიყო, უკეთესად რომ იყოს უზრუნველყოფილი ტექნიკით.

ჩაბმული არიან რა შეჯიბრებაში მოძმე აჭარის ასსრ მშრომელებთან, აფხაზეთის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გააძლიერებენ თავიანთ შრომითს აქტივობას და უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას.

თავის სიტყვაში ამხ. ბლაჟბა დაწვრილებით ეხება იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. იგი ამბობს, რომ საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს პარტიული ორგანიზაციების დიდი და მრავალმხრივი მუშაობა რესპუბლიკის მშრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის. აღმოფხვრილია ლენინური ეროვნული პოლიტიკის უხეში დამახინჯებანი, რაც წარსულში დაშვებული იყო აფხაზეთში. ამჟამად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ უდიდესი და ფასდაუდებელი დახმარების მეოხებით, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის, მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით კომუნისტების, ყველა მშრომელის აღზრდის გაძლიერებისათვის.

უწინარეს ყოვლისა, ამბობს ორატორი, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ კადრების შერჩევის, განაწილების, დაწინაურებისა და აღზრდის საქმის გაუმჯობესებას რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, ადამიანთა საქმიანი და პოლიტიკური თვისებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია ბევრი მზარდი ნიჭიერი მუშაკი— აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ყველგან კვლავ გახსნილია აფხაზური სკოლები, შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირი, ჩამოყალიბებულია მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი. მოწესრიგებულია აფხაზურ ენაზე ჟურნალების „ალაშარას“ და „ამკაბზის“ გამოცემა, გამოდის „ოკტომბერის“ ბიბლიოთეკა“ აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე, მნიშვნელოვნად გადიდდა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, ლიტერატურული ალმანახების გამოცემა.

წელს აფხაზეთის მწერლების კავშირი გამოსცემს იმ სომეხი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა კრებულს, რომლებიც რესპუბლიკაში ცხოვრობენ. 1957 წელს სოხუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა რადიომაუწყებელი სადგური, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გადაცემები ვაწარმოოთ აფხაზურ და სხვა ენებზე. ამაღლდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების დონე. ძნიშვნელოვნად გადიდდა იმ აფხაზი ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც იგზავნებიან მოსკოვის, თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო აფხაზეთის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა თბილისში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს დეკადა იქნება სტიმული აფხაზი ხალხის კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

ამასთან ერთად იყო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ არსებობს ნაკლოვანებანი იდეოლოგიურ მუშაობაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში. ჩვენ მოვალენი ვართ ყოველდღიურად და მტკიცედ ვეწეოდეთ ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, მტრულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებათა ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

აფხაზი ხალხი ძველთაგანვე ურღვევი ძმური მეგობრობით დაკავშირებულია ქართველ ხალხთან. ისინი ერთობლივად ეწეოდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ექსპლოატატორთა ჩაგვრის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ძმურადამხარ, მათთან ერთად ქართველი და აფხაზი ხალხები კვლავაც იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის.

ამხ. თ. ბ. ჯანელიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა რესპუბლიკის მარგანეცის მრეწველობის მუშაობა. ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა ვერ გაართვა თავი საწარმოო დავალებებს, 1956 და 1957 წლების პროგრამა შესრულებული არ არის არცერთი საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით; სათანადო ყურადღება არ ექცეოდა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას და მაღაროების ტექნიკურ აღჭურვას.

ჭიათურის საქალაქო პარტორგანიზაცია და მაღაროელთა მთელი კოლექტივი ამჟამად დაძაბულად შრომობენ, რათა ღირსეულად გაართვან თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამჟამად სრულდება სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმები. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება უკვე შესრულებულია 100,5 პროცენტით. მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვასრულებთ დავალებებს მარგანეცის მადნის სორტების მიხედვით, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამ ჩამორჩენასაც დავძლევთ.

ჩაებნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჭიათურელმა მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს ათეულ ათასობით ტონა მადანი.

ეხება რა ჭიათურა-საჩხერის მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციის საკითხებს, ორატორს საჭიროდ მიაჩნია სერიოზული ყურადღება მიექცეს მარგანეცის მადნის ღია წესით ამოღების ორგანიზაციას, რათა დამუშავების ამ წესმა სათანადო ადგილი დაიკავოს.

ამხ. ჯანელიძე ეხება მარგანეცის მადნის გამდიდრების დროს მიღებული შლამის გამოყენების საკითხს. მიუხედავად ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობისა, რომლებიც აღჭურვილი არიან საუკეთესო მოწყობილობით, ლითონური მარგანეცი დიდი რაოდენობით მიაქვს მდინარე ყვირილას. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოეწყოს შლამის დაჭერა და დაჩქარდეს შლამგამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა.

— საჭიროდ მიმაჩნია, — ამბობს შემდეგ ამხ. ჯანელიძე, — დელეგატების ყურადღება მივაპყრო სხვა საკითხებსაც. ჭიათურის საბადოს მიწისქვეშა სამუშაოებში ჩაბმული არიან მხოლოდ მამაკაცები. ქალთა შრომას მძიმე მიწისქვეშა სამუშაოებზე არ იყენებენ და ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ადამიანებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთ გამოვლინებას. იმისათვის, რომ მაღაროელთა ოჯახის წევრები სასარგებლო შრომაში ჩავაბათ, ჩვენ ვთხოვთ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას განიხილოს და გადაწყვიტოს ჭიათურა-საჩხერის აუზში მრეწველობის სხვა დარგების განვითარების საკითხი.

მაგალითად, კვარცის ქვიშების ბაზაზე, რომლებიც ჩვენში აუთაცხელია, შეიძლებოდა მინის მრეწველობის განვითარება. ჩვენ გვაქვს მერქნის უამრავი ნარჩენები, რომლებსაც ამჟამად ვერ ვიყენებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღირს შესწავლილ და გადაწყვეტილ იქნას ავეჯის ან შეიძლება ცელულოზის მრეწველობის განვითარების მიზანშეწონილობის საკითხი.

აგრეთვე ვფიქრობთ, რომ სწორი იქნება, თუ ჭიათურაში, სადაც თავმოყრილი არიან საჰაერო და საბაგირო გზების უძლიერესი სპეციალისტები, აშენდება სამთო მოწყობილობის, კერძოდ, საჰაერო-საბაგირო გზების მოწყობილობის ქარხანა.

შესაძლებლობა ბევრი გვაქვს. ჩვენ ვთხოვთ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეისწავლოს საკითხი ჭიათურაში მრეწველობის სხვა დარგების განვითარების შესახებ და დადებითად გადაჭრას იგი.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი პროფილის საწარმოსათვის, განსაკუთრებით სამთამადნო საწარმოსათვის. ჩვენთან ყველაზე შრომატევადი პროცესია მარგანეცის დატვირთვა. მაგრამ ჩვენს მაღაროებში დატვირთვის სამუშაოები მექანიზებულია მხოლოდ 45-46 პროცენტით.

გასულ წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს არ მიუღია დატვირთვის მექანიზაციისათვის საჭირო მანქანები. მე მხედველობაში მაქვს ექსკავატორები და ელექტროსატვირთავი მანქანები.

იმისათვის, რომ შეავსრულოთ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალება, საჭიროა ავამოქმედოთ ახალი სიმძლავრენი და ყოველწლიურად შევასრულოთ საშუალოდ 80-150 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ობიექტების დაპროექტებას აწარმოებს სსრ კავშირის 15 ორგანიზაცია. სისტემატურად, წლიდან წლამდე, ჭიანურდება სამშენებლო ორგანიზაციების უზრუნველყოფა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. ვფიქრობთ, რომ საჭიროა დაპროექტება შეძლებისამებრ თავმოყრილი იქნას ერთ ხელში.

დასასრულ ამხ. ჯანელიძე აყენებს საკითხს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შედგენილ იქნას ქალაქისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიის განვითარებისა და განაშენიანების გენერალური გეგმა, აგრეთვე ხელი შეეწყოს ჭიათურის მაღაროელთა ოჯახის წევრები სასარგებლო შრომაში ჩავაბათ, ჩვენ ვთხოვთ რესპუბლიკის სახელმწიფო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის საარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. ი. ქადაგიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ჩვენი ქვეყანა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, აღმავლობის გზით მიმავალი საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობა, ყველაზე პროგრესული მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა, და იგი გზას უკაფავს კაცობრიობას კომუნიზმისაკენ.

ახორციელებენ რა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელმა, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მრეწველობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა წარმოების სახელმწიფო გეგმა. პარტიისა და მთავრობის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ უზრუნველყო ხელმძღვანელობის დაახლოება საწარმოებთან, შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინებინა და სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაგვეყენებინა მრეწველობის ახალი მნიშვნელოვანი რეზერვები.

გასული წლის მეორე ნახევარში, როცა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ გააჩაღა თავისი საქმიანობა, რესპუბლიკის მრეწველობამ გაუმჯობესა მუშაობა. ამ პერიოდში ჩვენს საწარმოებში ათვისებულ და გამოშვებულ იქნა ახალ სახეობათა დიდძალი პროდუქცია.

საქართველოს მრეწველობის წარმატებანი უდავოა. ამ წარმატებებზე დაწვრილებით ილაპარაკა ამხ. მეავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ამასთან ყურადღება გამახვილებულია ნაკლოვანებებზე. პარტიის ამ ყრილობაზე ჩვენ განსაკუთრებული ძალით უნდა ვთქვათ რეზერვებზე და გადაუჭრელ საკითხებზე, რათა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და რეზერვების მობილიზაციის გზით უფრო სწრაფი ტემპებით ვიაროთ წინ.

მთლიანად რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მეწნილი, სამწუხაროდ, ცოტა როდია საწარმოები, რომლებიც სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ. 1956 წელს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა საერთო რიცხვის 28 პროცენტმა ვერ შეასრულა წლიური გეგმა. 1957 წელს ასეთი საწარმოები ნაკლები იყო, მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭოს 76 საწარმომ, ანუ 17 პროცენტმა, მაინც ვერ შეასრულა გეგმა.

გასულ წელს გეგმის შეუსრულებლობის გამო სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლდა თუჯრი, ფოლადი, მილები, ნაგლინი, მარგანეცის მადანი, შალის ქსოვილები. ადგილობრივი საბჭოების საწარმოებმა ქვეყანას დააკლეს 3.500 ათასი ცალი აგური. ეს დიდი ნაკლია ჩვენს მუშაობაში.

ანალიზს თუ გავუკეთებთ ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობას, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მარტო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ გეგმა ვერ შეასრულა ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვის გამო, ხოლო ზოგიერთმა ჰიდროსადგურმა ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა ვერ შეასრულა წყლის ნაკლებობის გამო, დანარჩენმა საწარმოებმა კი გეგმის შესრულებას თავი ვერ გაართვეს თავიანთი ხელმძღვანელების მიზეზით, აგრეთვე იმის გამო, რომ მათ დახმარებასა და კონტროლს არ უწევდნენ როგორც ზემდგომი სამეურნეო ორგანიზაციები, ისე რაიკომები, საქალაქო კომიტეტები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილება.

პარტია ჩვენგან მოითხოვს, რომ ანალიზი გავუკეთოთ ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზებს და სათანადო დახმარება გავუწიოთ მათ. ჩვენ ბევრი შემთხვევა ვიცით, როდესაც კონკრეტული დახმარების შედეგად საწარმოებს გაუუმჯობესებიათ თავიანთი მუშაობა. მაგალითად, ჩამორჩენილთა რიცხვში დიდხანს იყო თბილისის კერამიკული კომბინატი. მაგრამ როდესაც ჩვენ თბილისის საქალაქო კომიტეტთან და სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოსთან ერთად ყურადღებით გავერკვიეთ ამ საწარმოს ჩამორჩენის მიზეზებში და გავუწიეთ მას სათანადო დახმარება, მან გამოასწორა თავისი მუშაობა და 1957 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით მოწინავეთა რიგებში გამოვიდა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუარესა მუშაობა ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, რაზეც თქვა ამხ. მეავანაძემ მოხსენებაში. ჭიათურის საქალაქო კომიტეტი ვერ გაერკვა ტრესტის ცუდი მუშაობის მიზეზებში. უფრო მეტიც. საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ამხ. გოშხეთელიანი, იცავდა რა კრიტიკისაგან ტრესტის მმართველს ამხ. შეყლაშვილს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უმალავდა ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებს. წინასწარი შემოწმების შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაიხილა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშაობის საკითხი და სათანადო გადაწყვეტილება გამოიტანა. განმტკიცებულ იქნა საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა. ამჟამად ტრესტი აწარმოებს თავისი მუშაობის გარდაქმნას და საერთოდ აუმჯობესებს მაჩვენებლებს. მიმდინარე წლის იანვარში სრულდება მარგანეცის მადნის ამოღების გეგმა, და არის იმედი, რომ ტრესტი გამართულად იმუშავებს.

ჩვენს შემდგომ მუშაობაში საჭიროა უფრო კონკრეტულად ვიმუშაოთ მრეწველობის საკითხებზე და მივაღწიოთ იმას, რომ არ იყოს არცერთი საწარმო, რომელიც სახელმწიფო გეგმას ვერ ასრულებდეს.

რესპუბლიკის ბევრი საწარმო, ასრულებს რა საერთო პროდუქციის გეგმას, ვერ ასრულებს მას ნომენკლატურის მიხედვით. სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ამ სერიოზულ ნაკლოვანებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი.

მაგალითისათვის მოვიყვან ქუთაისის საავტომობილო ქარხანას (დირექტორი ამხ. კიკნაძე), რომელმაც 1957 წელს მკვეთრად გაუმჯობესა მუშაობა და თავისი არსებობის მანძილზე პირველად გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა როგორც საერთო პროდუქციის, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დარგში. მაგრამ სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმა აქ ჩაიშალა.

ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შეუსრულებლობის გამო ჩაშლილია საწარმოებისათვის დიდმნიშვნელოვანი ნაწარმის მიწოდების გეგმა, იქმნება სერიოზული შეფერხებები. საჭიროა უფრო კონკრეტულად განუმარტოთ საწარმოთა ხელმძღვანელებსა და კოლექტივებს. რა ზიანი მოსდის სახალხო მეურნეობას, როცა არ სრულდება გეგმა ნომენკლატურის მიხედვით, მივაღწიოთ ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას ჩვენი მრეწველობის მუშაობაში.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ მაჩვენებელს წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. მთლიანად რესპუბლიკაში სრულდება თვითღირებულების შემცირების დავალება, მაგრამ ჩვენში ბევრია ისეთი საწარმო, რომლებსაც არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვს. სამწუხაროდ, ცალკეული პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები გვერდს უვლიან საწარმოთა საქმიანობის ამ დიდმნიშვნელოვან მხარეს. ჩვენში განსაკუთრებით მაღალია ქვანახშირის თვითღირებულება, მაგრამ ქვანახშირის ტრესტები ვერ ასრულებენ მისი შემცირების საგეგმო დავალებას. 1957 წელს ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 2 მანეთით აღემატებოდა გეგმით გათვალისწინებულს. ცუდად არის საქმე ნავთობის მრეწველობაშიც, სადაც თვითეული ტონა ნავთობის თვითღირებულება საგეგმოს 4 მანეთით აღემატება.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხი მუდამ უნდა იყოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და სამმართველოების მუშაობის დღის წესრიგში.

საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება, ბრძოლა ყველაფერში მომჭირნეობისათვის, წარმოების უკეთ ორგანიზაციისათვის — აი სად იფარება ჩვენი მდიდარი რეზერვები, აი რას უნდა მიაქციონ ყურადღება პარტიულმა, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

რამდენიმე სიტყვა საქართველოს მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ.

საჭიროა უფრო დაჩქარებული ტემპებით განვავითაროთ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, ვინაიდან იგი სოფლის მეურნეობის განვითარების გამო გადასამუშავებლად იღებს სულ უფრო და უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ეს პირველ რიგში ეხება მეღვინეობის მრეწველობას, რაზეც ნათქვამი იყო ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ეს ეხება საკონსერვო, ხორცისა და რძისა და ნაწილობრივ ჩაის მრეწველობას. დაჩქარებული ტემპებით უნდა ვავითარებდეთ მრეწველობას აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა გადასამუშავებლად, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა. განა დასაშვებია, რომ საქართველოდან გადასამუშავებლად გაგვაქვს ახალციხის აქატი, ნაცვლად იმისა, რომ გავიტანოთ მზა ნაწარმი! საქართველოდან დიდი რაოდენობით გაგვაქვს მარგანეცის მადანი, მაშინ როდესაც მას შეიძლება ეგზავნიდეთ სხვადასხვა ფეროშენადნობთა სახით. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამასთან ერთად საქართველოში შემოგვაქვს ბევრი ისეთი ნაწარმი და საქონელი, რომლებიც, სათანადო საწარმოები რომ გვქონდეს, შეგვეძლო დიდი რაოდენობით გამოგვეშვა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ყოველივე ეს დიდ ეკონომიას მოგვცემდა და საქონელს გააიაფებდა.

შემდეგ ამხ. ქადაგიძე ლაპარაკობს რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის მდგომარეობაზე და მისი შემდგომი განვითარების ამოცანებზე. მას მიაჩნია, რომ საჭიროა უფრო მტკიცედ დავაყენოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში რესპუბლიკისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის საკითხები.

შეეხო რა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას, ამხ. ქადაგიძემ ილაპარაკა დიდ გამოუყენებელ რეზერვებზე ამ დარგში. მაგალითად, სამენ მასალათა მრეწველობის მუშაკების მიზეზით იგრძნობა ეფექტიანი მსუბუქი და იაფი მასალების დიდი ნაკლებობა, როცა საქართველო მდიდარია საკედლე მასალად ვარგისი საშენი ქვის საბადოებით. სუსტად არის განვითარებული სამშენებლო ორგანიზაციების ინდუსტრიული ბაზა.

დასასრულ ორატორი ლაპარაკობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაზე, რომელიც სულ უფრო ფართოდ ჩაღდება. საქართველოს მშრომელების მგზნებარე სურვილია საუკეთესო მაჩვენებლებით აღნიშნონ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, რაზმავს რესპუბლიკის მშრომელებს იმისათვის საბრძოლველად, რომ კიდევ უფრო გადიდდეს საქართველოს წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ამხ. დ. მ. მამულაძის სიტყვა

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! აჭარის მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შემოქმედებითი მუშაობა გაიჩაღეს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის და თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში.

1957 წლის გეგმა აჭარის მრეწველობამ 106 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 67 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება კი გეგმასთან შედარებით შემცირდა 1,2 პროცენტით, მიღებულია 12 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელმა, გემთმშენებელმა, კოფეინის, მომთუთიებელმა ქარხნებმა, თამბაქოს, სამკერვალო, ასევე ხელვაჩაურის, ბათუმის, აჭყვის, ოჩხამურის ჩაის ფაბრიკებმა, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთმა საწარმომ და სარეწაო საბჭოს არტელებმა.

მაგრამ მრეწველობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებები.

მრეწველობის მართვის გარდაქმნამ მოსპო ვიწრო უწყებრივი ბარიერები, ხელმძღვანელობა უფრო ოპერატიული გახადა და დაუახლოვა წარმოებას. მაგალითად, თუ წინათ აჭარაში განლაგებული სამრეწველო საწარმოები 15-მდე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების დაქვემდებარებაში შედიოდა, ახლა ეს საწარმოები გაერთიანებული არიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში, რამაც დიდად შეუწყო ხელი საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას. ამის მიუხედავად, სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთი სამმართველო ჯერ კიდევ ვერ უწევს საწარმოებს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას, ადგილი აქვს შეცდომებს დაგეგმვის დარგში, ზოგჯერ ფერხდება ნედლეულითა და მასალებით საწარმოთა მომარაგება, რაც ხელს უშლის მათს რიტმულ მუშაობას. ზოგიერთი საწარმო პროდუქციის გამოშვების გეგმას ასორტიმენტის მიხედვით ვერ ასრულებს, დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

აჭარის ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სამშენებლო მასალების წარმოების გასაფართოებლად, ცოტა რაოდენობით უშვებს აგურს, კრამიტს, სამშენებლო ქვას და სხვა მასალებს.

ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაფართოვდა კაპიტალური მშენებლობა. 1956-1957 წლებში მარტო ქალაქ ბათუმის მოსახლეობამ მიიღო 15 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამჟამად აჭარაში შენდება ათასობით კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები. მიუხედავად ამისა, საბინაო მშენებლობის ტემპი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამ მხრივ ჩვენ დიდი დახმარება გვჭირდება. ამოცანად დავისახეთ მიმდინარე წელს ქალაქ ბათუმში დავამთავროთ და მოსახლეობას გადავცეთ სულ ცოტა 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინები, ამასთან გადაწყვეტილი გვაქვს მსხვილმა საწარმოებმა გორკელთა თაოსნობის მიხედვით თავიანთი დანაზოგებით სულ ცოტა თითო საცხოვრებელი სახლი ააგონ.

საგრძნობი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩაი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი კულტურაა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ კულტურას 6.032 ჰექტარი ფართობი უკავია. ყოველწლიურად იზრდება ჩაის მოსავალი. გასულ წელს მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 21.492 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულდა 105,1 პროცენტით. გეგმის ზევით ჩაბარდა 520 ტონა ჩაი. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 4.306 კილოგრამი ფოთოლი, თითქმის ორჯერ მეტი, რაც საშუალოდ ჰექტარზე რესპუბლიკაში მივიღეთ.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების დარგში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქობულეთის რაიონის დაგვის, წითელი ოქტომბრის, კალინინის, ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 6.000 კილოგრამზე მეტი ფოთოლი მიიღეს.

გასულ წელს ციტრუსების მაღალი მოსავალი მოვიყვანეთ, მოვკრიფეთ და ჩავაბარეთ 312 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მიმდინარე წელს ციტრუსები იმ რაოდენობით გავაშენოთ, რაც მე-6 ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული.

გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოს და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში. გასულ წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.030 კილოგრამი რძე.

ბათუმის რაიონის მახინჯაურის კოლმეურნეობაში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 3.472 კილოგრამი რძე. ასევე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ამავე რაიონის განთიადის, ურეხის, ქობულეთის რაიონის დაგვის და სხვა კოლმეურნეობებმა.

გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1957 წლის გეგმები: ხორცისა — 101,4 პროცენტით, რძისა — 100,4 პროცენტით, კვერცხისა — 101,4 პროცენტით, მატყლისა — 123,6 პროცენტით.

ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და შრომადღის ანაზღაურება.

სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული წარმატებები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. მოწინავე კოლმეურნეობების გვერდით არსებობენ ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც, ჯერ კიდევ ყველა რეზერვი როდი გვაქვს გამოყენებული.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის XX ყრილობის მითითებათა საფუძველზე საგრძნობლად გაუმჯობესა იდეოლოგიური მუშაობა. გაიზარდა კომუნისტების დაინტერესება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებით. ამაღლდა პარტიულ-პოლიტიკური სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდა საგაზეთ-პროპაგანდისტული მუშაობა. მეტი ყურადღება ექცევა მასების, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის, კომუნისტურად აღზრდის საქმეს. საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. გასულ წელს ქ. თბილისში მოწყობილმა ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აჭარაში აყვავდა ფორმით ეროვნული — ქართული, შინაარსით კი სოციალისტური კულტურა.

მიუხედავად ამისა, იდეოლოგიურ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ჩვენ ეს შეგნებული გვაქვს, და ყველა ზომებს ვიღებთ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაძლიერებისათვის.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ ცენტრალური პომიტეტის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა განყოფილებათა გამგეები, მათი მოადგილეები უფრო ხშირად მოდიოდნენ ადგილებზე, უკეთ გაერკვნენ მდგომარეობაში და უფრო მეტი დახმარება გაგვიწიონ, რაც, ცხადია, უკეთეს შედეგებს მოგვცემს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი ღონისძიებები განახორციელეს დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გაიზარდა ადგილობრივი ორგანოებისა და კოლმეურნეობების უფლებები და პასუხისმგებლობა სწორად დაგეგმვისათვის. აქტიურდა მათი ინიციატივა ამ საქმეში. მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ზოგიერთი მუშაკის დაუდევრობის შედეგად ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ დაგეგმვაში. ჩვენ უკვე მივიღეთ ჩაის ფოთლის კრეფის, ხორცის, რძის, თამბაქოს დამზადების გეგმები.

ამ გეგმების შესახებ ჩვენთვის წინასწარ არავის არაფერი »არ უთქვამს, არავის ჩვენი აზრი არ გაუზიარებია, რაც არასწორად მიგვაჩნია. 1957 წლის გეგმასთან შედარებით საქართველოს რესპუბლიკაში ჩაის კრეფის გეგმა მიმდინარე წლისათვის გაიზარდა 5.000 ტონით, აქედან 1.846 ტონით გადიდებულია აჭარის გეგმა, ეს მაშინ, როდესაც აჭარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩაის ყველაზე მაღალ მოსავალს იღებენ და მოსავლის შემდგომი გადიდების უფრო ნაკლები რეზერვი აქვთ, რაც დაგეგმვისას მხედველობაში არ იქნა მიღებული. გეგმის ასეთი განაწილება საფუძველს მოკლებულია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი თხოვნა. იმედია გადასინჯულ იქნება გეგმა და სწორად და ობიექტურად გადაწყდება ეს საკითხი.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დარაზმავს მშრომელებს, წარმატებით შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ამხ. ი. ბ. აბაშიძის სიტყვა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მთავარ საზრუნავ საქმეს ამჟამად წარმოადგენს მოსკოვში ჩვენი დეკადისათვის მზადება, რომელიც დასასრულს უახლოვდება.

დეკადის საორგანიზაციო მთავრობის კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია. ჩვენ მივდივართ დეკადაზე იმის შეგნებით, რომ საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება არა მარტო მიმზიდველი და საინტერესო იქნება, არამედ გაუძლებს კიდეც ყოველგვარ საქმიან კრიტიკას, რაგინდ მკაცრიც უნდა იყოს იგი.

ჩვენი ხალხი, რომ იტყვიან, გულისფანცქალით მოელის დეკადას მოსკოვში. იგი ამ დეკადაში თავისი ღირსებისა და სახელის საქმეს ხედავს, და ეს მართალიც არის. შეუნელებელი გულისხმიერებით ადევნებს იგი თვალყურს ყველაფერს, რაც ახალი გამოჩნდება ხოლმე ლიტერატურისა თუ ხელოვნების ფრონტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოსკოველი ამხანაგები გულხელდაკრეფილნი როდი გველოდებიან. ისინი დიდიხანია აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენს სამზადისში. აქ პირველ რიგში ხაზი უნდა გავუსვათ იმ დიდ შრომას, რომელიც ჩვენმა მეგობრებმა—რუსმა მწერლებმა გასწიეს საქართველოს კლასიკური და თანამედროვე მწერლობის რუსულად თარგმნის საქმეში. ასევე უნდა ვთქვა მოსკოვის გამომცემლობათა მუშაკების ფასდაუდებელი სამსახურის შესახებ, რაც მათ ქართველი მწერლების წიგნების გამოცემაში გაგვიწიეს. დეკადისათვის მოსკოვში გამოდის 50-მდე წიგნი, ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ბოლოს, უნდა აღინიშნოს მრავალმხრივი პრაქტიკული დახმარება, რასაც ჩვენ მოსკოვის სათანადო დარგობრივი ორგანიზაციები გვიწევენ.

ახლა, როცა რესპუბლიკაში უკვე გაწეულია უდიდესი მუშაობა, სადეკადო მზადება თითქმის დამთავრებულია და მთლიანად ჩანს სურათი ყოველივე იმისა, რაც ჩვენ მოსკოვში მიგვაქვს, შეიძლება ზოგიერთი წინასწარი დასკვნა გავაკეთოთ.

დეკადისათვის მზადებაში ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი ნაკლი უფრო რელიეფურად გამოჩნდა. მიუხედავად არაერთი წლის ენერგიული ღონისძიებებისა, ჩვენს ლიტერატურასა და განსაკუთრებით ხელოვნებაში მეტად ცოტა აღმოჩნდა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები. დრამატულ თეატრებში ჩვენ არ აღმოგვაჩნდა არცერთი ქართული ახალი პიესა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვეობას ასახავდეს ისე ღირსეულად, რომ მისი ჩვენება მოსკოვის მაყურებლისათვის გაუწითლებლად შეგვეძლოს.

თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები ჩვენს სცენაზე ნაკლებად ჩანს. თანამედროვეობის აუსახველად ყოველი ხელოვნება, მით უმეტეს თეატრი, მკვდარია.

ჩვენი თეატრების ხელმძღვანელი მუშაკები (და განა მარტო თეატრის მუშაკები) დიდებით იხსენიებენ რეჟისორის კ. მარჯანიშვილის სახელს. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები სათანადო ანალიზს ვერ უკეთებენ იმ წარმატებებს, რომლებსაც მარჯანიშვილი თავის დროზე აღწევდა. მარჯანიშვილის თეატრის გამარჯვებათა ფესვები თანამედროვეობის ასახვაში იყო.

მარჯანიშვილს ჰქონდა თვისება ანდამატივით მიეზიდა თავის გარშემო ყველა შემოქმედი ძალა, რაც აუცილებელია მაღალი სპექტაკლების შესაქმნელად — დრამატურგი, მხატვარი, მსახიობი. იგი ყველასთან მუშაობდა და მართლაც თითქმის ყოველთვის ბედნიერად ემთხვეოდა ერთმანეთს დრამატურგის, მხატვრის, რეჟისორისა და მსახიობის ტალანტი. რომ ამგვარი შემოქმედებითი ინიციატივა და თაოსნობა, ამგვარი დამთხვევა ტალანტებისა ნამდვილად წარმატებითია და გამარჯვებით მთავრდება, ამის კიდევ ერთი მაგალითი ვნახეთ ჩვენ ამ ბოლო დროსაც, დეკადისათვის მზადების დღეებში: ბალეტმა „ოტელომ“ სწორედ ამ გზით მიაღწია დიდ წარმატებას.

თეატრი, დრამატურგია არა მარტო საზოგადოებრივი მოვლენაა, არამედ, როგორც ამბობენ, სახელმწიფოებრივი საქმეც არის. ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის ისტორია ამ დეკადით არ მთავრდება, და ჩვენი პარტიის ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდება კიდევ უფრო განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და გაატაროს გადამჭრელი ღონისძიება.

კიდევ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება მოსკოვში დეკადის ჩატარების შემდეგ ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში ჩვენი თანამედროვეობის ღირსეულად, სისხლხორცეულად ასახვისათვის. კიდევ ბევრი ბრძოლა დაგვჭირდება მიუდგომელი, პირუთვნელი კრიტიკის დანერგვისათვის, რაც ძირითადი საწინდარია წინსვლისა, მით უმეტეს მწერლობასა და ხელოვნებაში.

ბევრი დიდი ნაკლის მიუხედავად, რომლებიც ჩვენს მწერლობას აქვს და რომლებსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენი მწერლები ხელცარიელნი მიდიოდნენ მოსკოვის ქართულ დეკადაზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სწორად არის შენიშნული, რომ ქართულმა საბჭოთა პროზამ ამ ბოლო დროს საინტერესო წარმატებებს მიაღწია. ასე ითქმის პოეზიაზეც. კრიტიკის დარგშიც დაიწერა მეტად საინტერესო ნაწარმოებები, ქართველი საბჭოთა მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ამ ბოლო დროს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ქართული ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის. თუ წინათ ქართულ მწერლობას არა გააჩნდა რა, გარდა ერთი ჟურნალისა, ერთი გაზეთისა და ერთი პატარა გამომცემლობისა, დღეს საქართველოს მწერალთა კავშირს უკვე ორი გამომცემლობა აქვს: ქართული „საბჭოთა მწერალი“ და რუსული „ზარია ვოსტოკა“. მას აქვს სამი ჟურნალი: „მნათობი“, „ცისკარი“ და რუსული „ლიტერატურული საქართველო“. გარდა ამისა, გვაქვს „ლიტერატურული გაზეთი“. საქართველოს მწერალთა კავშირმა ერთბაშად მიიღო ორი ჟურნალი და ერთი გამომცემლობა. ეს პატარა საქმე როდია. ამ დიდ ყურადღებას ქართველი მწერლები უპასუხებენ შემოქმედებითი მუშაობის ახალი გაძლიერებით თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის ასახვის საქმეში.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა იყო და არის ჩვენი დიდი სამშობლოს, საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი. იგი თავისი იდეური სიმწიფით და დარაზმულობით, თავისი მაღალი მხატვრული შესაძლებლობებით ყოველთვის გამოირჩეოდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მკითხველში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ ახალი ამოცანები დასახა ჩვენი სახელოვნო და სალიტერატურო ორგანიზაციების წინაშე, ახალი აღმავლობა გამოიწვია ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში.

მოსკოვსა და ჩვენი მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში, მათ შორის თბილისში შემდგარ პლენუმებსა და თათბირებზე საბჭოთა მწერლობა კატეგორიულად შეებრძოლა პარტიისაგან ლიტერატურისა და ხელოვნების ჩამოშორების მავნე ტენდენციას. მან ერთხელ კიდევ დაგვანახვა თავისი ერთსულოვნება და დარაზმულობა ჩვენი მშობლიური პარტიის გარშემო. ამის ღრმა რწმენით გამოთქვამდა ამხანაგი ხრუშჩოვი თავის ზემოაღნიშნულ გამოსვლაში, რომ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ — საბჭოთა მწერლები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები კვლავაც იქნებიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული შვილები, მთელ თავიანთ ძალებს, თავიანთ ნიჭს მოახმარენ იმას, რომ ადიდონ ჩვენი დიდი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის გმირობა.

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეცხრე სესიის შესახებ

ამ წლის 27 იანვარს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომისიის მორიგმა მეცხრე სესიამ.

სესიამ განიხილა სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის 1957 წლის მეორე ნახევარში გამოცდილების გაზიარების შედეგები.

კომისია მივიდა ერთსულოვან დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პერიოდში ორი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა გაფართოვდა და გაღრმავდა. საბჭოთა და უნგრელი სპეციალისტების პირადი ყონტაქტი, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაზიარება ხელს უწყობს ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

განვლილ პერიოდში უნგრელ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი გაეცნო სსრ კავშირში ქვანახშირისა და სუსტი დენის მრეწველობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ნავთობის ამოღებისა და გადამუშავების, ალუმინის, მინერალური სასუქების წარმოების დარგში მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

საბჭოთა სპეციალისტებმა იმავე პერიოდში შეისწავლეს უნგრეთის მოწინავე გამოცდილება ქვანახშირის, ქიმიური, სამშენებლო, საფეიქრო, ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

კომისიის მეცხრე სესიაზე საბჭოთა კავშირ-უნგრეთის 1957 წლის 18 დეკემბრის ეკონომიური შეთანხმების შესაბამისად განხილულ იქნა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობას შორის ძლიერი დენის და სუსტი დენის მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და დიზელ-მოტორების წარმოებაში ხანგრძლივი პერიოდით სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების საკითხები.

ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილება კიდევ უფრო გააფართოებს გამოცდილების გაზიარებას და შესაძლებელს გახდის, რომ ორივე ქვეყნის მრეწველობაში დაინერგოს წარმოების მოწინავე ტექნოლოგია, გაუმჯობესდეს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება და პროდუქციის ხარისხი.

სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს შორის მუშაობის კოორდინაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ორივე ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის, კავშირგაბმულობის ტექნიკის, საავტომობილო ტრანსპორტის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მონათესავე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს შორის მეცნიერული ურთიერთობის შემდგომი გაფართოების შესახებ.

მე-9 სესიის ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი 1958 წელს მიიღებს და უნგრელ სპეციალისტებს გააცნობს საწარმოო გამოცდილებას ქვანახშირის ჰიდროამოღების, ქვანახშირის ღია წესით მოპოვების, მეტალურგიაში ჟანგბადის გამოყენების საწარმოო გამოცდილებას, ფურცელსაგლინავ საამქროთა მუშაობას, გაზის ტურბინებისა და ტურბინკომპრესორების წარმოების ტექნოლოგიას, კავშირგაბმულობის საშუალებათა მოწყობილობის წარმოებას, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. უნგრელი სპეციალისტები ვაცნობიან მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობას, ბუნებრივ წყალსატევებში თევზის მოშენებასა და თევზის ჭერას და სოფლის მეურნეობის საკითხებს.

საბჭოთა კავშირი 1958 წლის პირველ ნახევარში უსასყიდლოდ გადასცემს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ვაგონმშენებლობაში, ჩარხმშენებლობაში, კონსერვის მრეწველობაში გამოსაყენებელი მოწყობილობის წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე ორგანული ლაქების წარმოების ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა თავის მხრივ 1958 წელს მიიღებს საბჭოთა სპეციალისტებს და გააცნობს მოწინავე გამოცდილებას მანქანათმშენებლობის, სუსტი დენის მრეწველობის, სათბობის ენერგოტექნოლოგიური გამოყენების, საშენ მასალათა, ავეჯის, სამედიცინო პრეპარატების, ტყავსაგალანტერიო ნაწარმის წარმოების დარგში და სოფლის მეურნეობის საკითხებს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა აგრეთვე უსასყიდლოდ გადასცემს საბჭოთა კავშირს 1958 წლის პირველ ნახევარში სამთამადნო საქმის, ლითონსაჭრელი ჩარხების სამარჯვების, კვების მრეწველობის ხელსაწყოებისა და მოწყობილობის, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიური პროცესების ქიმიური მრეწველობის ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე დოკუმენტაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებზე.

სესიის მუშაობის მსვლელობაში კომისიის უნგრეთის ნაწილის წევრები გაეცნენ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობას.

სესიის მუშაობა მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში. სესიის მიერ დასახული ღონისძიებანი ახალ წვლილს შეიტანენ ორივე ქვეყანას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომისიის მე-9 სესიის ოქმს ხელს აწერენ: უნგრეთის მხრივ — კომისიის უნგრეთის ნაწილის თავმჯდომარე ამხ. ვაიი პეტერი; საბჭოთა კავშირის მხრივ — კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარე ამხ. ა. ა. ზახაროვი.

ДИДИ ნაბიჯი სსრ კავშირის კომუნისტურ მშენებლობაში

უცხოეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობას სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ჟენმინიბაო“ თავის სათაურში ცნობას ამის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის გეგმა, აფასებს როგორც „დიდ ნაბიჯს კომუნისტურ მშენებლობაში“. გაზეთებს სათაურებში გამოაქვთ ცალკეული ციფრები, რომლებიც მოწმობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას.

გაზეთ „ლუმანიტეს“ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის შედეგები მიაჩნია „ახალ დიდ ნაბიჯად სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე“. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, — წერს გაზეთი, — კვლავ ვითარდება სწრაფი ტემპით, რომელიც კაპიტალისტური სამყაროსათვის უცნობია. ეს ძლევამოსილი შედეგები მოწმობენ, რომ სსრ კავშირს, რომელიც 40 წლის წინათ ეკონომიურად ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, შეუძლია განახორციელოს გრანდიოზული ამოცანა, რომელიც წამოაყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ: დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. იტალიის გაზეთი „უნიტა“, აღნიშნავს რა, რომ სსრ კავშირში 1957 წელს საწარმოო გეგმები გადაჭარბებით შესრულდა, ხაზს უსვამს, რომ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1957 წელს მოხდა მრეწველობის მართვის რეორგანიზაცია. ამ რეფორმამ, განაცხადა გაზეთმა, არა მარტო გაამათილა კაპიტალისტური პროპაგანდის წინასწარმეტყველება პროდუქციის გამოშვების შემცირების შესახებ, არამედ ახალი იმპულსიც კი მისცა მთელ საბჭოთა მრეწველობას. გაზეთი „პაეზე“ თავის მხრივ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა სამრეწველო საწარმოებში გადიდდა შრომის ნაყოფიერება. (საკდესი).

ბაღდადის პაქტის საბჭოს სესია

ანკარა, 28 იანვარი. (საკდესი). გუშინ თურქეთის მეჯლისის შენობაში გაიმართა ბაღდადის პაქტის საბჭოს სესიის პირველი სხდომა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, სესიის მუშაობაში მონაწილეობენ თურქეთის, ირანის, ერაყის, პაკისტანისა და ინგლისის მთავრობათა დელეგაციები, აგრეთვე ამერიკელ „მეთვალყურეთა“ დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის მეთაურობით.

სესია მიმდინარეობს კარდახურულ დარბაზში. სესიას თავმჯდომარეობს თურქეთის პრემიერ-მინისტრი მენდერესი.

შენობასთან, სადაც სხდომა მიმდინარეობს, პოლიციის დიდი რაზმები პატრულობენ.

როგორც პრესა იუწყება, გუშინდელ სხდომაზე პაქტის მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა მეთაურების გამოსვლა ამოწურა პაქტის „ერთიანობისა“ და „სიმტკიცის“ ქება-დიდებით, რომელიც, მათი სიტყვით, თითქოს ემსახურება „შესაძლო კომუნისტური აგრესიისაგან თავდაცვის“ მიზნებს სხდომაზე გამოვიდა დალესი, რომელმაც აღუთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც გაუწევენ „დახმარებას“ პაქტის მონაწილე ქვეყნებს.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილია შეთანხმება კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში

27 იანვარს ვაშინგტონში დამთავრდა 1957 წლის 28 ოქტომბერს დაწყებული მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორი ქვეყნის კონტაქტისა და ურთიერთობის გაფართოების საკითხებზე. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში. საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელს აწერს საბჭოთა დელეგაციის მეთაური მოლაპარაკებაზე სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი, ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაცვლის საკითხებში უ. ლესი.

ორივე დელეგაციამ მიიღო ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „ამ შეთანხმებით ორივე მხარე კისრულობს უზრუნველყონ გაცვლა ისეთ დარგებში, როგორიც არის რადიოგადაცემები და სატელევიზიო გადაცემები და ფილმების ჩვენება, აგრეთვე მოაწყონ შემდეგი ორი წლის განმავლობაში ფართო გაცვლა კულტურის, ტექნიკისა და განათლებია დარგში. განათლების დარგში პირველად მოხდება ორივე ქვეყნის უნივერსიტეტების გამოსაშვები კურსების სტუდენტების, მასწავლებლებისა და პროფესორების გაცვლა. მეცნიერთა გაცვლას ამ მიზნით, რომ წაიკითხონ ლექციები და მოაწყონ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, მოამზადებენ შესაბამისი მეცნიერებათა აკადემიები. მედიცინისა და სოფლის მეურნეობის დარგში ორი წლის მანძილზე მოხდება მრავალი ურთიერთვიზიტები, მოხდება აგრეთვე სპორტულ დელეგაციათა გაცვლა, ხოლო გამოჩენილი თეატრალური დასები და მსახიობები ეწვევიან ორივე ქვეყანას.

მაშინ, როცა ზოგიერთი გაცვლა უახლოეს მომავალში დაიწყება, დანარჩენთა შესახებ როგორც არის, მაგალითად, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და ნიუ-იორკს შორის, პრინციპულად მიღწეულია შეთანხმება და მოხდება შემდგომი განხილვა.

ეს შეთანხმება ორივე მხარეს მიაჩნია მნიშვნელოვან პირველ ნაბიჯად სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებაში, და გამოთქმულია იმედი, რომ იგი შესრულდება იმგვარად, რომ შეტანილ იქნას არსებითი წვლილი ორი ქვეყნას ურთიერთობის გაუმჯობესებაში და ამით აგრეთვე შეეწყოს ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმება კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში ითვალისწინებს 1958-59 წლების მანძილზე შავი მეტალურგიის, სამთამადნო მრეწველობისა და პლასტმასის მრეწველობის დარგში ანეციალისტთა დელეგაციების ურთიერთგაცვლას. ამასთან ორივე მხარე შეთანხმდა, რომ საყურველია მრეწველობის დარგში შემდგომი გაცვლა მოეწყოს 1958-1959 წლების მანძილზე.

ორივე მხარე შეთანხმდა უზრუნველყონ მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ვეტერინარიის, მებამბეობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტთა დელეგაციების, აგრეთვე სატყეო მეურნეობისა და ხეტყის მრეწველობის დარგის დელეგაციების გაცვლა. ჯანმრთელობის დაცვის დარგში გათვალისწინებულია მიკრობიოლოგიის, ნერვული სისტემის ფიზიოლოგიისა და ფარმაკოლოგიის, ანტიბიოტიკების, ბიოქიმიისა და სხვა სპეციალისტთა დელეგაციების გაცვლა.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ნაცვალგების საფუძველზე მოხდეს ცალკეულ მეცნიერთა და სპეციალისტთა ან მათი ჯგუფების გაცვლა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა პრობლემებზე ლექციების წასაკითხავად და სემინარების მოსაწყობად, აგრეთვე ერთობლივ სამუშაოთა მოსაწყობად და სპეციალიზაციისათვის. გათვალისწინებულია პროფესორთა და მასწავლებელთა დელეგაციების გაცვლა უმაღლესი განათლების ორგანიზაციის გასაცნობად და — დელეგაციების გაცვლა განათლების დარგში, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის უნივერსიტეტების სტუდენტთა ჯგუფების გაცვლა განათლების განსაგრძობად.

შეთანხმების შესაბამისად ორივე მხარე უზრუნველყოფს მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების ჯგუფების გაცვლას კონტაქტის დამყარების, გამოცდილების გაზიარებისა და ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების გაცნობის მიზნით. გათვალისწინებულია ახალგაზრდობის ორგანიზაციების, ქალთა ორგანიზაციების დელეგაციათა და ქალაქების წარმომადგენელთა ურთიერთგამგზავრება.

მიღწეულია შეთანხმება, რომ მოეწყოს რადიოტელევიზიის გადაცემათა გაცვლა მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარების მიზნით დროდადრო მოაწყონ საერთაშორისო-პოლიტიკურ პრობლემათა განხილვისადმი მიძღვნილ გადაცემათა გაცვლა მხარეთა შეთანხმებით, ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ ამ გაცვლის დეტალები შეთანხმებულ იქნება სამუშაო წესით. ამასთან დელეგაციებმა გაცვალეს წერილები, რომლებშიც შეთანხმების ამ ნაწილთან დაკავშირებით გამოთქმულია იმის გაგება, რომ საერთაშორისო-პოლიტიკურ პრობლემათა შესახებ გადაცემათა ტექსტების გაცვლა მოხდება წინასწარ და ეს ტექსტები შეთანხმებულ იქნება სამუშაო წესით. თუ რომელიმე მხარეს მიაჩნია, რომ რომელიმე ასეთი გადაცემის შედეგები არ შეუწყობს ხელს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ასეთი გადაცემის გაცვლა არ მოხდება.

გათვალისწინებულია მსახიობთა და თეატრალურ კოლექტივთა გაცვლა, კერძოდ, სსრ კავშირის დიდი თეატრის საბალეტო დასის, სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფილადელფიის სიმფონიური ორკესტრის ჩამოსვლა სსრ კავშირში და ორივე ქვეყნის მთელ რიგ თვალსაჩინო მსახიობთა და შემსრულებელთა ურთიერთგამგზავრება.

დასახულია კინოს დარგში თანამშრომლობის გეგმა. კერძოდ, გათვალისწინებულია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყოს ფილმების პრემიერები ორივე ქვეყნის კინემატოგრაფიის მუშაკთა მოწვევით, მხატვრული, დოკუმენტალური, მეცნიერულ-პოპულარული ფილმების გაცვლა, კინოს მუშაკთა დელეგაციების, სცენარისტებისა და ტექნიკური პერსონალის დელეგაციების გაცვლა.

სპორტის დარგში გათვალისწინებულია მოეწყოს შეჯიბრებანი კალათბურთში, ჰოკეიში, მძლეოსნობასა და ძალოსნობაში, ჭიდაობასა და სხვა სახეობათა სპორტში. შეთანხმდნენ იმაზე, რომ ორივე მხარე ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

შეთანხმებაში პრინციპულად აღიარებულია, რომ საჭიროა ნაცვალგების საფუძველზე დამყარდეს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და გათვალისწინებულია შესაბამისი მოლაპარაკება ამ საკითხზე.

სპორტის ამგეგი

★

სსრ კავშირის XXV საჩაღრაკო ჩემპიონატი

რიგა. 29 იანვარი. (ტელეფონით. სპეც. კორ.). სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება. ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ გროსმაისტერებთან ერთად წარმატებით გამოდიან ახალგაზრდა ოსტატები.

მოწონებას იმსახურებს ოსტატ ბ. გურგენიძის პარტიები, მისი გაბედული და კომბინაციური თამაში. მეცხრე ტურში ბ. გურგენიძე შეხვდა პირველობის გათამაშების ლიდერს გროსმაისტერ ე. გელერს. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ს. ფურმან — ი. ავერბახის პარტია. მ. ტალიანოვმა მოუგო ა. ბანიკს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ გათამაშდა გადადებული და გამოტოვებული პარტიები. შეხვედრის განუახლებლად ი. ბოლესლავსკი დანებდა ნ. კროგიუსს, ა. სუეტინი — გ. ბორისენკოს. გამოტოვებული პარტიებიდან მ. ტალი დამარცხდა ვ. კორჩნოისთან. ა. ტოლუში — ა. გიასლისთან. ლ. პოლუგაევსკი — ტ. პეტროსიანი და გ. ბორისენკო — ი. ბოლესლავსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

საკავშირო პირველობა კალათბურთში

სვერდლოვსკში, ალმა-ატასა და რიგაში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. ქალთა გუნდების ასპარეზობა მიმდინარეობს რიგაში, ვაჟთა გუნდებისა — სვერდლოვსკსა და ალმა-ატაში.

როგორც ცნობილია, ამ შეხვედრებში საქართველოდან მონაწილეობას იღებს ვაჟთა 2 და ქალთა 1 გუნდი.

თბილისის დინამოელები ჩარიცხული არიან სვერდლოვსკის ჯგუფში. მათთან ერთად აქ პირველობისათვის იბრძვიან მოსკოვის „დინამოს“, რიგის სკვო-ს, ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ ტარტუს „კალევის“ და სვერდლოვსკის „ტრუდის“ გუნდები.

პირველი დღის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო სსრ კავშირის ჩემპიონის რიგის სკვო-სა და მოსკოვის „დინამოს“ მატჩი. დინამოელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ასპარეზობა და მოიგეს იგი ანგარიშით 80:76. თბილისის „დინამომ“ დამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 55:53, ტარტუს „კალევმა“ — სვერდლოვსკის „ტრუდი“ 64:60.

ასპარეზობის მეორე დღეს, 28 იანვარს, თბილისის „დინამომ“ წააგო მატჩი რიგის სკვო-სთან 53:66. მოსკოვის „დინამომ“ მოუგო ტარტუს „კალევს“ 78:58, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ — სვერდლოვსკის „ტრუდს“ 65:59.

ეროვნული ენციკლოპედია

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლო ნამარხთა საბადოების კათედრის პროფესორი ალექსანდრე ესტატეს-ძე ბენდელიანი.

ა. ე. ბენდელიანი დაიბადა 1895 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში, სახალხო მასწავლებლის ოჯახში.

1930 წელს ა. ე. ბენდელიანი შედის მოსკოვის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1934 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს სხვადასხვა გეოლოგიურ დაწესებულებათა გეოლოგიურ-საძიებო პარტიების უფროსად და ტექნიკურ ხელმძღვანელად. სამამულო ომის წლებში მუშაობდა კომბინატ „საქჩაროს“ მთავარ გეოლოგად, ხოლო 1945-1951 წლებში — კომბინატ „საქნახშირის“ მთავარ გეოლოგად.

ა. ე. ბენდელიანს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც მიძღვნილია მადნეულის საბადოებისადმი.

ა. ე. ბენდელიანი უაღრესად გულისხმიერი ამხანაგი და აღმზრდელი იყო. მისი დაკარგვით დიდი დანაკლისი განიცადა მთელმა ჩვენმა გეოლოგიურმა საზოგადოებამ.

ა. ე. ბენდელიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სოფლის ახალი გიგლიოთეკა

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ფართოვდება რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამ დღეებში სოფელ შუბანში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნების მდიდარი ფონდი.

ბიბლიოთეკა გაიხსნა საზეიმო ვითარებაში. რაიასბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ლ. თოხაქაძემ სოფლის მშრომელებს მიულოცა კულტურის ამ ახალი დაწესებულების გახსნა და განყოფილების სახელით 100 ცალამდე წიგნი გადასცა საჩუქრად.

სურათებზე: სტუდენტები მეცადინეობენ პრაქტიკული ფონეტიკის კაბინეტში (მარცხნივ); ხმის ჩამწერ კაბინაში გერმანული ენის მასწავლებელი რ. დოლიძე კითხულობს გერმანულ ტექსტს, რომელსაც შემდეგ მოისმენენ სტუდენტები.

ფოტო გ. გოგოხიანი.

აქ ეუფლებიან უცხო ენებს

დერეფანში ხშირად ინთება წითელი ნათურა — ეს არის გაფრთხილება: „ჩუმად, ჩაწერა!“ კაბინეტში გრძელ მაგიდას უსხედან სტუდენტები. რომელიმე მათგანი უცხო ენაზე კითხულობს ტექსტს, რასაც იწერს მაგნიტოფონი. შემდეგ ისმენენ ჩაწერილს, მასწავლებლის დახმარებით ასწორებენ წარმოთქმის შეცდომებს.

ეს ხდება თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ახალშენებულ პრაქტიკული ფონეტიკის კაბინეტში, რომელიც რესპუბლიკაში პირველია და დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდობას ენის შესწავლაში. აქ ისინი ეჩვევიან გერმანული, ფრანგული და ინგლისური სიტყვების წარმოთქმას, სწორ მეტყველებას.

მოწყობილია აგრეთვე ცალკე კაბინები, სადაც დადგმულია მაგნიტოფონები. აქ სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ. ისინი ერთდროულად ყურმილით ისმენენ და თან თვალს ადევნებენ გამოცდილი მასწავლებლების ან გერმანელის, ფრანგის, ინგლისელის მიერ წარმოთქმულ ტექსტებს. ამით ისინი თვალსა და ყურს აჩვევენ სიტყვების სწორად წარმოთქმას და წაკითხვას.

საინტერესოდ არის მოწყობილი ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც წარმოებს სასწავლო ტექსტების ჩაწერა. სტუდია ხმაშეუღწევია, მას ხმის რეგულირებისათვის გაკეთებული აქვს მოძრავი ჭერი. იგი შეიძლება მოეწყოს ისე, როგორც ამას ამა თუ იმ ადამიანის ხმის ტემბრი მოითხოვს. სტუდიაში წარმოებს იმ პირების (ინსტიტუტის მასწავლებლებისა და უცხოელების) ლაპარაკის ჩაწერა, რომლებიც კარგი მეტყველებითა და ინტონაციით გამოირჩევიან.

კაბინეტის მოწყობაზე გულმოდგინედ და საქმის სიყვარულით იმუშავა ინსტიტუტის მუშაკმა კ. ფროლოვმა. იგი გამოცდილების მისაღებად იყო კიევის უცხო ენათა ინსტიტუტში, სადაც არის ასეთივე კაბინეტი.

ამ დღეებში აქ მოელიან ფირფიტებზე ჩამწერ აპარატს, ჩაწერილი ფირფიტებით სტუდენტებმა შეიძლება მოისმინონ ტექსტები საშინაო დავალების შესრულების დროს. მიიღებენ აგრეთვე ახალ აპარატს — ოსცილოგრაფს ბგერათა ექსპერიმენტულ შესწავლაში დასახმარებლად.

ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების ექსპერიმენტული ფონეტიკის წრეებში სტუდენტები პირველ ხანებში აწარმოებენ უმთავრესად ამ ენების ინტონაციის შეპირისპირებას ქართულთან.

ინსტიტუტში მოწყობილია კინოსპროექციო დარბაზი, სადაც წარმოებს ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე სასწავლო კინოფილმების ჩვენება.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ზავი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე საართული, **ხომხური დრამის** — განგა ქალაშვილი, **მუსიკალური კომედიის** — დინარა, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრების შესახებ (10 ს.) კოტლი მეწისქვილე (5 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, თბილისი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ოქრის გულისათვის, **ოქტომბერი, ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები** — მეორე ცოლი, **სპარტაკი, კოლხიდა** — ოთარაანთ ქვრივი.

ტელეგადაცემათა პროგრამა

30 იანვრისათვის

19.30 — გადაცემა ბავშვებისათვის: „მუსიკის ჯადოსნური პროფესორი დო-რე-მი“ (გადაცემა მეორე), 20.15 — დოკუმენტური ფილმი „ოქტომბრის დროშით“, 20.50 — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ — მხატვრული ფილმი „ჯუზეპე ვერდი“.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 11 თებერვალს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **თამაზ სერგოს-ძე კერესელიძე** — თემაზე: **„ანტისეპტიკათა (აგლუტინინთა) გამომუშავებისა და რეპროდუქციის საკითხისათვის“.**

2. **ნესტორ თეოფილეს-ძე თოიძე** — თემაზე: **„მასალები დამწვრობის მკურნალობის საკითხისათვის“.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თბილისი, ქ. № 2).

ეროვნული ენციკლოპედია

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლო ნამარხთა საბადოების კათედრის პროფესორი ალექსანდრე ესტატეს-ძე ბენდელიანი.

ა. ე. ბენდელიანი დაიბადა 1895 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში, სახალხო მასწავლებლის ოჯახში.

1930 წელს ა. ე. ბენდელიანი შედის მოსკოვის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1934 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს სხვადასხვა გეოლოგიურ დაწესებულებათა გეოლოგიურ-საძიებო პარტიების უფროსად და ტექნიკურ ხელმძღვანელად. სამამულო ომის წლებში მუშაობდა კომბინატ „საქჩაროს“ მთავარ გეოლოგად, ხოლო 1945-1951 წლებში — კომბინატ „საქნახშირის“ მთავარ გეოლოგად.

ა. ე. ბენდელიანს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც მიძღვნილია მადნეულის საბადოებისადმი.

ა. ე. ბენდელიანი უაღრესად გულისხმიერი ამხანაგი და აღმზრდელი იყო. მისი დაკარგვით დიდი დანაკლისი განიცადა მთელმა ჩვენმა გეოლოგიურმა საზოგადოებამ.

ა. ე. ბენდელიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საკავშირო პირველობა კალათბურთში

სვერდლოვსკში, ალმა-ატასა და რიგაში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. ქალთა გუნდების ასპარეზობა მიმდინარეობს რიგაში, ვაჟთა გუნდებისა — სვერდლოვსკსა და ალმა-ატაში.

როგორც ცნობილია, ამ შეხვედრებში საქართველოდან მონაწილეობას იღებს ვაჟთა 2 და ქალთა 1 გუნდი.

თბილისის დინამოელები ჩარიცხული არიან სვერდლოვსკის ჯგუფში. მათთან ერთად აქ პირველობისათვის იბრძვიან მოსკოვის „დინამოს“, რიგის სკვო-ს, ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ ტარტუს „კალევის“ და სვერდლოვსკის „ტრუდის“ გუნდები.

პირველი დღის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო სსრ კავშირის ჩემპიონის რიგის სკვო-სა და მოსკოვის „დინამოს“ მატჩი. დინამოელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ასპარეზობა და მოიგეს იგი ანგარიშით 80:76. თბილისის „დინამომ“ დამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 55:53, ტარტუს „კალევმა“ — სვერდლოვსკის „ტრუდი“ 64:60.

ასპარეზობის მეორე დღეს, 28 იანვარს, თბილისის „დინამომ“ წააგო მატჩი რიგის სკვო-სთან 53:66. მოსკოვის „დინამომ“ მოუგო ტარტუს „კალევს“ 78:58, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ — სვერდლოვსკის „ტრუდს“ 65:59.

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ზავი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე საართული, **ხომხური დრამის** — განგა ქალაშვილი, **მუსიკალური კომედიის** — დინარა, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრების შესახებ (10 ს.) კოტლი მეწისქვილე (5 ს.).

კინოთეატრებში